THE MEMBER OF

PSP GROUP

№1294/02-01

03 იანვარი 2020 წელი

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს „პსპ ფარმას"** (ს/კ: 202203123) დირექტორი ვაჟა ოქრიაშვილი (პ/ნ:15001003000) წინამდებარე მინდობილობით, შემდგომში „მინდობილობა", ვანიჭებ უფლებამოსილებას **ნოდარ სიხარულიძეს (პ/ნ: 01024087515)** შემდგომში „მინდობილ პირი", წარმოადგინოს შპს"პსპ ფარმა" - შემდგომში „მინდობილობის გამცემი" საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის მერიასთან და მათ ნებისმიერ სამსახურთან, მათ შორის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურთან, არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის ნებისმიერ სამსახურთან, მათ შორის და არა მხოლოდ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და მის ნებისმიერ სამსახურთან, მათ შორის, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურთან, სსიპ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან, ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და მის ნებისმიერ სამსახურთან, მათ შორის, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურთან ურთიერთობაში.

„მინდობილი პირი" უფლებამოსილია „მინდობილობის გამცემის" სახელით „მინდობილობის გამცემის" საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით განახორციელოს შემდეგი მოქმედებები: წარადგინოს (მათ შორის, ატვირთოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ელექტრონული სახით) მიიღოს, ნახოს და ხელი მოაწეროს (მათ შორის განახორციელოს ელექტრონული ხელმოწერა) ნებისმიერ დოკუმენტაციას/განცხადებას, რაც დაკავშირებულია მინდობილობის გამცემისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან/მიღებასთან, არქიტექტურული/სამშენებლო პროექტების, ყველა კლასის შენობა-ნაგებობის მოწყობის, დემონტაჟის, რეკონტრუქციის, მათ შორის, შენობის-ფასადზე აბრისა და რეკლამის განთავსების სამუშაოების შეთანხმებასთან შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან.

„მინდობილ პირს" გააჩნია უფლებამოსილება წარადგინოს, მიიღოს და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედებები, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ამ მინდობილობაში და საჭიროა მინდობილობით გათვალისწინებული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

შპს"პსპ ფარმას" დირექტორი: "პსპ-ფარმა" 202203123 "PSP-Pharma" დ.აღმაშენებლის 148/III /ვაჟა ოქრიაშვილი/